

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 98

25 ივლისი 2025 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

მოწვეული სტუმარი:

თბილისის მერიის საფინანსო საქალაო სამსახურის წარმომადგენელი - ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სერგო ბირკაძე, ნესტორ ლაბარტყავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,

კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი, ნინო ვარდოსანიძე, მიხეილ კაკაურიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, საბა ბუაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. **საკრ. №12-0325205134-03 24/07/2025)**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ. **(№11-01252053173 საკრ. №15-0325205131-03 24/07/2025)**

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“ (ს.ნ.: 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს.ნ.: 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ

საკრებულოს №12-032520531-03 24/07/2025წ

4. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან შაოშვილისთვის (პ/ნ 45001008952) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-032519663-03 15/07/2025წ**

5. ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. N76-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.054) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი საყვარელიძისთვის (პ/ნ 01026007627) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-03251784-03 27/06/2025წ**

6. ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გორგასალისთვის“ (ს/ნ: 203826342) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე **საკრებულოს №12-032519017-03 09/07/2025წ**

7. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ანა ცაძიკიძისთვის (პ/ნ: 01031006237) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-032519017-03 09/07/2025წ**

8. ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N8ა-ში მდებარე 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.039) შპს „ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტისთვის“ (ს/ნ 200099384) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის

ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-03251994-03 18/07/2025წ**

9. ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩა N41-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.028.116) პირდაპირი განკარგვის წესით გრიგოლ ღონღაძისთვის (პ/ნ: 01030008028) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. **საკრებულოს №12-03251994-03 18/07/2025წ**

10. ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი, კვარტალი II, კორპუსი I-ის მიმდებარედ არსებული 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.35.003.008) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი შუკაკიძისთვის (პ/ნ 01027071293) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-03251996-03 18/07/2025წ**

11. ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მედიკაპიტალისთვის“ (ს/ნ: 205218030) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-03251994-03 18/07/2025წ**

12. ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10ბ-ში არსებული N01.10.06.006.359; N01.10.06.006.360; N01.10.06.006.361 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „გალაქსი კონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ: 404987056) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-03251997-03 18/07/2025წ**

13. ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N19-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.049) პირდაპირი განკარგვის წესით მუბარის ოსმანოვისთვის (პ/ნ 01027005890) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრებულოს №12-03251995-03 18/07/2025წ**

14. ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე **საკრებულოს №12-032519017-03 09/07/2025წ**

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის შესახებ“. **საკრებულოს №12-032517815-03 27/06/2025წ**

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ფ-582-1-26243 ხელშეკრულებასთან“ და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკრებულოს №12-03252032-03 18/07/2025წ

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსტრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს დეკა ვარკეთილი - ს/ნ: 405581375) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ 405581375) ნაწილობრივ გათავისუფლების თაობაზე. **საკრებულოს №12-032520517-03 24/07/2025წ**

18. „ქ. თბილისში, ჟიული მარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული მარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

საკრებულოს №12-032520516-03 24/07/2025წ

19. „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ N01.10.13.015.112.04.235) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრებულოს №12-032520512-03 24/07/2025წ**

20. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრებულოს №12-03251785-03 27/06/2025წ**

21. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.031.013.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრებულოს №16-03251851-03 04/07/2025წ**

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 2306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.149.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრებულოს №12-03251845-03 03/07/2025წ. №12-032520533-03 24/07/2025წ.**

23. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ მაყაშვილის ქუჩა N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.112.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრებულოს №12-032519664-03 15/07/2025წ**

24. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრებულოს №12-03251785-03 27/06/2025წ**

25. „ქალაქ თბილისში, გია ყანჩელის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.010.018.02.651) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრებულოს №12-03251998-03 18/07/2025წ**

26. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.14.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრებულოს №12-032520514-03 24/07/2025წ**

27. ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.81.21.106.003) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრებულოს №12-032519665-03 15/07/2025წ**

28. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ: 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-032520527-03 24/07/2025წ**

29. ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ (ს/ნ: 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-032520527-03 24/07/2025წ**

30. ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქარაძეს (პ/ნ: 01011008339) (უფლებამონაცვლე: სს „მაარიფ ულუსლარარასი ელითიმ ქურუმლარი“, ს/ნ: 8790664477) შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრებულოს №12-032520532-03 24/07/2025წ**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (10 400,0 ათასი ლარი) გამოყენების, მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 48 711,4 ათასი ლარით (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის დაცვის მინისტრის 2025 წლის 24 ივლისის MES 5 25 0000911750 წერილი), სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) - 13 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწა) კლებიდან მიღებული შემოსავლები - 5 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ - 77 111,4 ათასი ლარით და შეადგენს - 2 348 609,0 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება

გზების მშენებლობა და აღდგენა - (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 9 500,0 ათასი ლარი, გზების მოვლა- შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 180,0 ათასი ლარით, გზების მოვლა შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 100 - 250,0 ათასი ლარი, გზების მოვლა შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 900,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 500,0 ათასი ლარი, გზები მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში - (კოდი: 01 01 16) - 300,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 1 200,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 3 000,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარი, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 549,6 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 400,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 230,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 600,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 100,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 300,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 380,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 350,0 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 1 000,0 ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 5 000,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 300,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) - 137,3 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) ქვეპროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 600,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 350,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 700,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი: 06 02 02) - 150,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) - 100,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 100,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) - 200,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 150,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) - 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 100,0

ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 200,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი: 06 02 18 14) – 50,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი: 06 02 18 15) – 100,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი: 06 02 21) – 300,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი: 06 02 22) – 400,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 2 000,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარი, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) - 200,0 ათასი ლარი, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01 - 185,0 ათასი ლარით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი: 08 01 02) – 24,6 ათასი ლარი, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი: 08 01 05) - 25,0 ათასი ლარი, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი: 08 04 03) – 50,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 05) – 500,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) - 1 400,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 850,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 350,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 718,0 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები - 2,692,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) – 2 800,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი: 10 36) - 542,0 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამები: თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 07 02 05) – 9 000,0 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში (კოდი 07 02 06 01) - 3 291,2 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში (კოდი 07 02 06 02) – 8 255,4 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში (კოდი 07 02 06 03) – 3 541,0 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 07 02 06 04) – 2 449,5 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში (კოდი 07 02 06 05) – 872,9 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში (კოდი 07 02 06 06) – 3 423,8 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში (კოდი 07 02 06 07) – 1 128,7 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში (კოდი 07 02 06 08) – 4 105,1 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში (კოდი 07 02 06 09) – 4 310,0 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში (კოდი 07 02 06 10) – 7 784,3 ათასი ლარის ოდენობით.

მცირდება კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 180,0 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით, თბილისი-საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 90,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 52,3 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 422,0 ათასი ლარით, ზოგადი განათლებისა და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) - 100,0 ათასი ლარით, უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) – 150,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 108,4 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 49,6 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02 01) – 7 381,3 ათასი ლარი, თბილისის მეტროს (მოდრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIIB) (კოდი 10 41) – 6 600,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) – 572,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი: 10 47) – 2 208,3 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 080 488,4 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 267 820,6 ათასი ლარით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი-ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით, იზრდება „კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 12) მესამე კვარტლის ბიუჯეტი 1 280 000 ლარით, აღნიშნული ცვლილება სჭირდებათ სკვერების და სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოების, ასევე ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად. იზრდება ასევე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 05 01 16) მესამე კვარტლის გეგმა- 350 000 ლარით. მესამე კვარტლის ბიუჯეტი იზრდება შემდეგ პროგრამებში: „დაავადებათა სკრინინგი“ (პროგ/კოდი 06 01 02) – 80 000 ლარით. მომხსენებლის განმარტებით, 6 თვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა მთლიანად ათვისებულია, დღეის მდგომარეობით შემოდის უამრავი განცხადება რომლითაც ითხოვენ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების, მიზნობრივი ფულადი დახმარებისა და სხვადასხვა მიმართულებით დაკმაყოფილებას. დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებით გამოწვეული საჭიროებიდან გამომდინარე, იზრდება „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ ქვეპროგრამის (კოდი 06 01 05), მესამე კვარტლის ბიუჯეტი 20 000 ლარით, ამავე ქვეპროგრამის მე-4 კვარტლის ბიუჯეტის იგივე თანხით შემცირების ხარჯზე. „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ ქვეპროგრამის (კოდი 06 01 07), მესამე კვარტლის ბიუჯეტი 80 000 ლარით, ამავე ქვეპროგრამის მე-4 კვარტლის ბიუჯეტის იგივე თანხით შემცირების ხარჯზე. იზრდება „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ ქვეპროგრამის (კოდი 06 02 06 03), მესამე კვარტლის ბიუჯეტი 78 000 ლარით, ამავე ქვეპროგრამის მე-4 კვარტლის ბიუჯეტის იგივე თანხით შემცირების ხარჯზე. „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 05) – 500 000 ლარით.

მცირდება მესამე კვარტლის გეგმა შემდეგ ქვეპროგრამებში: „გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 11) – 700 000 ლარით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 11)- 1 482 010 ლარით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 06 17) -1 896 180 ლარით. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები სავარაუდოდ მეოთხე კვარტალში იქნება წარმოდგენილი.

საერთო ჯამში გადასახდელების მესამე კვარტლის ბიუჯეტი მცირდება 1 712 164 ლარით, შესაბამისად იზრდება მეოთხე კვარტლის ბიუჯეტი. დაბალანსება ხდება შემოსავლების და ნაშთის ცვლილებით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანსაღისა და სოციალური მომსახურების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა სერგო ბირკაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“ (ს.ნ.: 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს.ნ.: 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, 2020 წლის 25 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“ შორის გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში (ლილოს მიმდებარედ) არსებული 91 642.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს.კ.: 01.19.13.004.036 მიწის ნაკვეთი (გამიჯვნის შედეგად ფორმირებულია №01.19.13.004.044 - 15587 კვ.მ. და №01.19.13.004.045 - 76055 კვ.მ.). ხელშეკრულების ფარგლებში საპრივატიზებო საფასური შეადგენს სიმბოლურ 1 ლარს.

ხელშეკრულების მე-3 მუხლის მიხედვით, საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა პრივატიზებულ ტერიტორიაზე საწვრთნელ-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსის მოწყობა/მშენებლობა და მისი ექსპლუატაციაში მიღება ამ ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის ვადაში და საწვრთნელ-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსის პროფილის შენარჩუნება მუდმივად (ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტი).

მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2020 წლის 25 თებერვალს და შესაბამისად, ქონების შემძენს ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობა უნდა შეესრულებინა არაუგვიანეს 2025 წლის 25 თებერვლისა. მითითებული ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში (შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში) პირგასამტეხლო განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ქონების შემძენის მიერ ვერ შესრულდა ხელშეკრულების 3.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება, ამავე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად, ეკისრება 2025 წლის 26 თებერვლიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რაც დაიანგარიშება 2025 წლის 26 თებერვლიდან წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე პერიოდისთვის. 2025 წლის 23 ივლისის მდგომარეობით, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო 7 400 ლარის ოდენობით, რომელიც ზრდადია დღიურად 50 ლარით.

ამასთან, ქონების შემძენის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი 2025 წლის 07 თებერვლის განცხადებებით განიმარტა, რომ ნაკისრი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევა გამოწვეულია კომპლექსის მშენებლობის პროცესში წარმოშობილი და გამოვლენილი შემაფერხებელი გარემოებებიდან გამომდინარე. კერძოდ, ქონების შემძენის განმარტებით, მიუხედავად Covid-19 პანდემიისა, პროექტის პირველი ნაწილი (საწვრთნელი და საშეჯიბრო ტრასა) მოეწყო 2022 წელს და დღემდე ფუნქციონირებს. მოწყობილი ინფრასტრუქტურით უკვე 3 წელია აქტიურად სარგებლობენ, როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე თავად ქონების შემძენი. ამასთან, ვინაიდან ქვეყნის მასშტაბით არ არსებობდა მსგავსი საწვრთნელ-გასართობი საავტომობილო სპორტული კომპლექსის მშენებლობის ნომენკლატურა და არქიტექტურული პრაქტიკა, საჭირო გახდა რიგი პრობლემების ინდივიდუალური გადაწყვეტა. გარდა ამისა, პროექტის მიმდინარეობისას საჭირო გახდა პრივატიზებული ქონების 2 ნაწილად გამიჯვნა, ვინაიდან აღნიშნულ ნაკვეთზე უნდა გაიაროს კახეთის ჩქაროსნულმა მაგისტრალმა. აღნიშნულის გამო, სამშენებლო პროექტი განხორციელდება გამიჯვნის შედეგად წარმოშობილ ძირითად საკადასტრო ერთეულზე (76055 კვ.მ. - 01.19.13.004.045); ასევე, ამ ეტაპზე საპროექტო სამუშაოები დასრულებულია და მიმდინარეობს წარმოება სანებართვო დოკუმენტაციის შეთანხმებაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილი განცხადებებით მოთხოვნილია ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, ამავე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადის გაზრდა 2 წლით (2027 წლის 25 თებერვალი) და ასევე, მოთხოვნილია თანხმობა კომპლექსის მშენებლობის ქონების ნაწილზე განხორციელების თაობაზე (ნაცვლად ქონების სრული ტერიტორიისა).

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული შეთანხმებით ცვლილება შედის ხელშეკრულებაში, რომლითაც იზრდება კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადა 2 წლით. ამასთან, ქონების შემძენი თავისუფლდება კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულების დარღვევის საფუძველზე, წინამდებარე შეთანხმების გაფორმების დღემდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან - გაზრდილ

ვადებში კომპლექსის მშენებლობის დასრულების პირობით. ამავდროულად, ქონების შემძენს მიეცემა შესაბამისი თანხმობა, რომ კომპლექსის მშენებლობა განახორციელოს ქონების სრულ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციას“ (ს.ნ.: 206344972) შორის 2020 წლის 25 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს.ნ.: 206344972) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების საკითხის შეთანხმების შესახებ, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან შაოშვილისთვის (პ/ნ 45001008952) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა ქეთევან შაოშვილს, ღია კაფეს მოსაწყობად, ერთი წლის ვადით. საჯარო რეესტრის ამონაწერით, აღნიშნული პირი ქირავნობის უფლებით ფლობდა დავით აღმაშენებლის გამზირი N23-ში მდებარე ფართს (საკადასტრო კოდი: 01.16.05.031.003.01.514მას, 2024 წლის 8 დეკემბრამდე ვადით.

მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან შაოშვილისთვის (პ/ნ 45001008952) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. N76-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.054) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი საყვარელიძისთვის (პ/ნ 01026007627) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. N76-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.054) განმეორებით იჯარით გადაეცემა ირაკლი საყვარელიძეს, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნულ მიწის ნაკვეთს, განმცხადებელი იჯარით ფლობდა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 24.09.2018წ. ბ61.011926716 ბრძანების საფუძველზე, ხუთი წლის ვადით. ირაკლი საყვარელიძის საკუთრებაშია კოსტავას ქ. N76-ში არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.003.01.556).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი, მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამების განთავსების შესაძლებლობით, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 5280 ლარის ოდენობით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 24.09.2018წ. ბ61.011926716 ბრძანებით განსაზღვრული იჯარის ვადის გასვლის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. N76-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.028.054) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი საყვარელიძისთვის (პ/ნ 01026007627) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გორგასალისთვის“ (ს/ნ: 203826342) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა შპს „გორგასალს“ (ს/ნ: 203826342, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრიდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, შპს „გორგასალის“ საკუთრებაშია ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N21-ში არსებული N01.18.03.007.009.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 105 კვ.მ უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ. აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ამასთან, საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად სააგენტო არ არის წინააღმდეგი შპს „გორგასალის“ დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 3.5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 3.5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა. აღსანიშნავია, რომ დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომშლულავი ელემენტების, სტაციონარული ქოლგების გარეშე

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება შპს „გორგასალისთვის“, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2 (ორი) წლის ვადით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 7 200 (შვიდი ათას ორასი) ლარით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 24 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გორგასალისთვის“ (ს/ნ: 203826342) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ანა ცაძიკიძისთვის (პ/ნ: 01031006237) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა ანა ცაძიკიძის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით, ანა ცაძიკიძის თანასაკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N24/რომისქუჩა N4-ში არსებული N01.16.05.025.002.01.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 116.60 კვ.მ უძრავი ქონება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მისცა დადებითი შეფასება. ასევე წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად აღნიშნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა. აღსანიშნავია, რომ დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2025 წლის 19 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 080 (ოთხი ათას ოთხმოცი) ლარით.

წარმოდგენილი პროექტით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, ანა ცაძიკიძისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 5 (ხუთი) წლის ვადით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 4 080 (ოთხი ათას ოთხმოცი) ლარით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ანა ცაძიკიძისთვის (პ/ნ: 01031006237) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N8ა-ში მდებარე 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.039) შპს „ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტისთვის“ (ს/ნ 200099384) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისში, მარიჯანის ქუჩა N8ა-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.039) იჯარით გადაეცემა შპს „ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტს“, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით.

ასევე, სააგენტოში წარმოდგენილი სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, სააგენტო არ არის მოთხოვნილი 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის წინააღმდეგი. აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა შესაძლებლად მიიჩნია სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმაც.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2 304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N8ა-ში მდებარე 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.039) შპს „ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტისთვის“ (ს/ნ 200099384) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩა N41-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.028.116) პირდაპირი განკარგვის წესით გრიგოლ ღონდაძისთვის (პ/ნ: 01030008028) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისში, საბურთალოს ქუჩა N41-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.14.028.116) იჯარით გადაეცემა გრიგოლ ღონდაძეს, კიბის ფუნქციონირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 28 აპრილის ბრძანების საფუძველზე, მითითებული უძრავი ქონება გრიგოლ ღონდაძეს გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2025 წლის 11 იანვრამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: 01.10.14.028.181)

შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით. შესაბამისად, წერილით განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა როგორც წლიური საიჯარო ქირის გადახდაზე, ასევე, იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლობის ვადის გასვლის დღიდან ახალი იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასურის გადახდაზე, რომელიც იანგარიშება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით განსაზღვრული წლიური საბაზრო საიჯარო ქირის 1 152 (ათას ას ორმოცდათორმეტი) გათვალისწინებით და ყოველდღიურად შეადგენს 3.20 (სამი ლარი და ოცი თეთრი), რისი გადახდაც უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად სარგებლობის ყველა დღეზე გადაანგარიშებით

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 152 (ათას ას ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩა N41-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.028.116) პირდაპირი განკარგვის წესით გრიგოლ ღონდაძისთვის (პ/ნ: 01030008028) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი, კვარტალი II, კორპუსი I-ის მიმდებარედ არსებული 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.35.003.008) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი შუაკიძისთვის (პ/ნ 01027071293) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისში, მოსკოვის გამზირი, კვარტალი II, კორპუსი I-ის მიმდებარედ არსებული 13 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.19.35.003.008) იჯარით გადაეცემა, 5 წლით ირაკლი შუაკიძეს. აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი, კვარტალი II, კორპუსი I-ში მდებარე ფართი (ს/კ: 01.19.35.003.002.01.001). სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი. ასევე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას 1 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1872 (ათას რვაას სამოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 13.05.2011წ. N01-4//187 ბრძანებით განსაზღვრული იჯარის ვადის გასვლის დღიდან (2024 წლის 25 ნოემბრიდან) ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი, კვარტალი II, კორპუსი I-ის მიმდებარედ არსებული 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.35.003.008) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი შუაკიძისთვის (პ/ნ 01027071293) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მედეაპიტალისთვის“ (ს/ნ: 205218030) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისში, გამრეკელის ქუჩა N19-ში, N01.10.14.013.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა შპს „მედეაპიტალს“, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა წლიური

საიჯარო ქირის 2 304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარის გადახდაზე, ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ფაქტობრივად ფლობს რის გამოც თანახმაა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან (2025 წლის 13 მაისიდან) ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნას იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე სრული პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასური, 1 დღეზე - 6.35 ლარის ოდენობით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2 304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.14.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მედკაპიტალისთვის“ (ს/ნ: 205218030) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10ბ-ში არსებული N01.10.06.006.359; N01.10.06.006.360; N01.10.06.006.361 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „გალაქსი კონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ: 404987056) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10ბ-ში არსებული N01.10.06.006.359; N01.10.06.006.360; N01.10.06.006.361 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, საფეხმავლო ბილიკებისა და კიბეების მოწყობის მიზნით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ამონაწერის თანახმად, შპს „გალაქსი კონსტრაქშენის“ საკუთრებაშია ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10ბ-ში არსებული N01.10.06.006.239.01.04.005; N01.10.06.006.239.01.04.006 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკებისა და კიბეების განთავსებასთან დაკავშირებით, სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10ბ-ში, N01.10.06.006.239 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ 48 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოც არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით, საფეხმავლო ბილიკებისა და კიბეების განთავსების მიზნით.

წარმოდგენილი პროექტით, წარმოდგენილია შპს „გალაქსი კონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ: 404987056) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, საფეხმავლო ბილიკებისა და კიბეების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10ბ-ში არსებული N01.10.06.006.359; N01.10.06.006.360; N01.10.06.006.361 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 6 912 (ექვსი ათას ცხრაას თორმეტი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10ბ-ში არსებული N01.10.06.006.359; N01.10.06.006.360; N01.10.06.006.361 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „გალაქსი კონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ: 404987056) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N19-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.049) პირდაპირი განკარგვის წესით მუხარის ოსმანოვისთვის (პ/ნ 01027005890) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, აღნიშნულ პირს ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N19-ის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.032) მიმდებარედ 5 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა, 5 წლის ვადით, მასზე არსებული კიბისთვის. მის საკუთრებაშია გამრეკელის ქ. N19-ში მდებარე ფართი (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.032.01.01.590).

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის მოთხოვნილი 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მოთხოვნები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით, იჯარის საგნის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, გამრეკელის ქ. N19-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.013.049) პირდაპირი განკარგვის წესით მუხარის ოსმანოვისთვის (პ/ნ: 01027005890) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, სამედიცინო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.

ამასთან, სააგენტოში წარმოდგენილი 2025 წლის 24 ივნისის №314/02 წერილით წარმოდგენილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობა თბილისში, ილორის ქუჩა, №14- ში მდებარე შენობა-ნაგებობის (პირველ სართულზე არსებული 545,99 კვ.მ ფართის (ს/კ: 01.11.05.035.010.01.506) განმეორებით (უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) გადაცემის შესახებ.

ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილი რომელშიც აღნიშნულია, რომ სამსახური არ არის წინააღმდეგი აღნიშნული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედისთვის“ (ს/კ: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის შესახებ“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 1 მაისის N24.747.864 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 მაისის N234 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, გამარჯვებული შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859) ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსაკუთრებაში არსებული, N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის (დღეის მდგომარეობით: ს/კ: N01.11.12.005.560 - ფართობი: 16073 კვ. მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2024 წლის 1 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.1. პუნქტის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე, მიწის ნაკვეთზე განახორციელოს საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მშენებლობა. ამასთან, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, ამ ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცეს საკუთრების უფლება. ხოლო, შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნული ფართები გადასცეს მათ ფაქტობრივად ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით, ამასთან, ხელშეკრულების 3.4. პუნქტის მიხედვით, კომპანია ვალდებულია იმ შენობა-ნაგებობ(ებ)ის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვება, სადაც განთავსდება გადასაცემი ფართი, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპანიამ 2025 წლის 23 აპრილის და 15 მაისის განცხადებებით მომართა სააგენტოს და მოითხოვა ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადის გახანგრძლივება არაუგვიანეს 2025 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით. კომპანიის განმარტებით, ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება ვერ ხერხდება მათგან დამოუკიდებელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო. სააგენტოში, ასევე, წარდგენილ იქნა კოოპერატივის წევრების მიერ შექმნილი ამხანაგობა „გლდანი 2025“-ის 2025 წლის 19 ივნისის განცხადება, რომლითაც ამხანაგობა თანხმობას აცხადებს კომპანიისთვის მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით არაუგვიანეს 2025 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით და ამასთანავე, აცხადებს და ადასტურებს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან/სააგენტოსთან და კომპანიასთან აღნიშნულთან დაკავშირებით, რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება არ აქვს და არც შემდგომში წარმოემოძრა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი

უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადა ნაცვლად 2025 წლის 1 ივლისისა განისაზღვრება არაუგვიანეს 2025 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ: 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16 000 კვ. მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ: 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, თანხმობის მიცემის შესახებ“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებასთან“ და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტი“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს დაიდო „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულება“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების პირობით; ხელშეკრულებაში შპს „კლასიკო 2020“-ის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა შპს „ალფა ფროფერტი“ (ს/კ: 404605094). შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ხელშეკრულებაში მყიდველის მხარეს წარმოადგენს შპს „ალფა ფროფერტი“.

ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე 26 132 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1-დან №13-ის ჩათვლით) (მიწის ნაკვეთის ს/კ №01.16.03.058.062) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით;

სააგენტოსა და მყიდველს შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმდა შეთანხმება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლითაც დაზუსტდა და განეწესა პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები.

ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებით მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა, არაუგვიანეს 2025 წლის 29 აპრილისა, პრივატიზებული ქონების საზღვრებში, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირებისა და თავად მუნიციპალიტეტისთვის არანაკლებ 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა უფლებრივად უნაკლო, „თეთრი კარკასის“ მდგომარეობაში, მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში;

მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნაწილის საბოლოო მიმღებ პირებს შესაძლოდ წარმოადგენენ:

ა) ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეები.

ბ) პირები, რომელთაც, თვითნებურად/საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე/ფაქტობრივად აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებულ ქონებასა და ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში

მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში.

შესაბამისი ფართების (ან ალტერნატიული შესრულების) მიღების სანაცვლოდ, შესაკუთრებმა მუნიციპალიტეტს უნდა გადასცენ საკუთრების უფლება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე (და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე), ხოლო მფლობელებმა უარი უნდა განაცხადონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე. ასევე, შესაბამისი ფართების მიღების სანაცვლოდ, სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირები გამოათავისუფლებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს, კერძოდ, აღნიშნული პირები №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით არსებულ უძრავ ქონებაში მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს მფლობელობაში გადასცემენ მუნიციპალიტეტს, ხოლო პრივატიზებულ ქონებაზე ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს - მყიდველს.

მყიდველის მიერ დარღვეულია გადასაცემი ფართების ქონების მიმღებ პირთათვის შესაბამის ვადაში გადაცემის ვალდებულება, რის გამოც, დამატებითი შეთანხმების 30.1 პუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 30 აპრილიდან ეკისრება მზარდი პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე, დღიურად - დარჩენილი გადასაცემი ქონების საბაზრო ღირებულების 0.01%-ის ოდენობით. ამასთან, აღნიშნული პირგასამტეხლოს ოდენობა, დარჩენილი გადასაცემი ქონების ფართობის გათვალისწინებით, დაანგარიშდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 თებერვლის №001243325 დასკვნით, რომლის თანახმად, 1 კვ.მ. გადასაცემი ქონების საბაზრო ღირებულება, შეადგენს - 3 014 (სამი ათას თოთხმეტი) ლარს;

ვიანიდან მყიდველის მიერ სააგენტოში არ არის წარმოდგენილი ქონების მიმღები რომელიმე პირის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მის მიმართ კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დამატებითი შეთანხმების 30.1 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების გამოცემის თარიღისათვის ჯამურად შეადგენდა - 164 564,4 ლარს, ხოლო დარჩენილი გადასაცემი ფართების ოდენობა შეადგენს 7000 (შვიდი ათასი) კვ.მ.-ს. ამასთან, პირგასამტეხლო მზარდია, დღიურად - 2 109,8 ლარის ოდენობით.

2025 წლის 15 ივლისის წარმოდგენილი განცხადებით, მყიდველის მიერ მოთხოვნილია ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, ქონების მიმღებ პირთათვის ფართების გადაცემის ვადის გაზრდა 6 (ექვსი) თვით - არაუგვიანეს 2025 წლის 29 ოქტომბრისა. მყიდველის მიერ ასევე მოთხოვნილია ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქონების მიმღებ პირთა ნაწილი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №2-ით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუდურეთის რაიონის გამგეობის 2025 წლის 06 ივნისის №33-01251572910 კორესპონდენციის გათვალისწინებით). ამასთან, იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას მყიდველთან ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან, ან/და არ შეასრულებენ შეთანხმებით გათვალისწინებული შესრულების (ქონების გადაცემა ან ალტერნატიული შესრულება) მიღების საპრივატიზებო პირობებს, განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიება უქმდება და შესაბამისი ქონების მიმღებად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებით“ და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები დარეგულირდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცეს თანხმობა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/ნ 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აღფა ფროფერტის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების მე-4 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, ამავე შეთანხმების 30.1 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ამავე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შპს „აღფა ფროფერტის“ (ს/ნ 404605094) გათავისუფლებაზე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცეს თანხმობა, წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების (შემდგომში: დამატებითი შეთანხმება) პირობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილი განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №2-ის შესაბამისად, აღნიშნულ პირთა მიერ დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით. წინამდებარე პუნქტის საფუძველზე, ქონების მიმღებ პირთა განსაზღვრა გულისხმობს ამ პირთა უფლებამოსილებას კომპანიისგან მიიღონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1192.1355 განკარგულების დანართი №2-ით გათვალისწინებული ქონება ან/და დამატებითი შეთანხმების 5.5 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ალტერნატიული შესრულება.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებასთან“ და ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აღფა ფროფერტის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსტრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს დეკა ვარკეთილი - ს/ნ: 405581375) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ 405581375) ნაწილობრივ გათავისუფლების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას თანხმობა ეძლევა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსტრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს დეკა ვარკეთილი - ს/ნ: 405581375) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ნაწილისგან 834 750 (რვაას ოცდაათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ 405581375) გათავისუფლების თაობაზე, იმ პირობით, რომ შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ 405581375) მიერ განხორციელება, 92 750 (ოთხმოცდათორმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის გადახდა არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამარჯვებულ შპს „ჯიერ ქონსტრაქშენს“ (დღეის მდგომარეობით: შპს დეკა ვარკეთილი - ს/ნ: 405581375) შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5397 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა ვარკეთილის“ (ს/ნ 405581375) ნაწილობრივ გათავისუფლების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, ჟიული მარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული მარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების და დაზარალებულ პირთა (მათ შორის ყოფილი ინდივიდუალურ ბინათმშენებლობათა ამხანაგობა - „თაბუკაშვილი“ 88-ის დაზარალებულ პირთა) მიმართ ფართის და თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველმა კომისიამ, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართებზე - ქ. თბილისი, მარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114) და მარტავას ქუჩა N3 (ს/კ: 01.10.13.015.112) - მდებარე სამშენებლო ობიექტებთან მიმართებაში შესაბამის ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილებები შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, გაუქმდა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობათა ამხანაგობა - „თაბუკაშვილი 88“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და ქ. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები და გაუქმდა ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები მისამართებზე - ქალაქ თბილისში, ჟიული მარტავას ქუჩა #1-ში (N01.10.13.015.114), ჟიული მარტავას ქუჩა N3-ში (N01.10.13.015.112) - რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულ პირთა ფართის სახით დაკმაყოფილების მიზნით განხორციელდა ცალკეული ღონისძიებები. კერძოდ, მისამართზე - ქ. მარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და შეთანხმდა სამშენებლო პროექტი; ასევე აღნიშნული მშენებლობის ნებართვისა და სამშენებლო პროექტის შესაბამისად, დამტკიცდა ინდივიდუალური ფართების განაწილების სქემა (ე.წ. „განშლა“) და მითითებული ე.წ. „განშლის“ შესაბამისად, უძრავი ქონებები (საცხოვრებელი, კომერციული ფუნქციის მქონე ფართები და ავტოსადგომები) პირველ ეტაპზე საკუთრებაში გადაეცა/დაურეგისტრირდა მიწის ნაკვეთის შესაბამისი წილების თანამესაკუთრე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ხოლო დაზარალებულ პირთა ნაწილის მიმართ გასაცემი ინდივიდუალური ფართები დარეგისტრირდა მუნიციპალურ საკუთრებად.

უნდა აღინიშნოს, რომ მისამართზე - ქ. მარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) სააგენტომ განახორციელა ე.წ. „თავისუფალი ფართების“ აზომვა (ფართები, რომელსაც არ ყავს რეალური მოსარგებლე და რომელთა გამოყენება შესაძლებელი იყო დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით (ჯამურად - 1409,74 კვ.მ, 18 ფართი) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია. ამასთან, გამოყენებულ იქნა ყოფილი ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დაზარალებულ პირთა ნაწილის დაკმაყოფილებისთვის; ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის არ იყო საკმარისი მისამართზე - ქ. თბილისი, ჟიული მარტავას ქუჩა N3-ში (N01.10.13.015.112) არსებული შენობა-ნაგებობის ფარგლებში დაზარალებულთა ნაწილის დაკმაყოფილება, განსაზღვრულია ქ. თბილისი, მარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114) სამშენებლო ობიექტის ფარგლებში,

წარმოდგენილი პროექტით, თანხმობა ეძლევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ჟიული მარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული მარტავას ქუჩა N3-ში

(საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის N25.1223.1408 განკარგულების შესაბამისად:

1. ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (ს/კ: N01.10.13.015.114) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი N1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონებები, ამავე დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადასცეს ამავე განკარგულების დანართი N3-ის შესაბამისად;

2. ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (ს/კ: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი N2-ით გათვალისწინებული უძრავი ქონებები, ამავე დანართით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადასცეს ამავე განკარგულების დანართი N4-ის შესაბამისად.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქ. თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.114) და ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ N01.10.13.015.112.04.235) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართი (ს/კ N01.10.13.015.112.04.235) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა გრიგოლ ნეფარიძეს, რომელიც წარმოადგენს გარდაცვლილი თამაზ ავლახაშვილის მემკვიდრეს.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ N01.10.13.015.112.04.235) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის, კორპუს N3-ში, პირველ სართულზე არსებული ბინა N29-ი ფართით 58.06 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.029) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, ქეთევან შულაიას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი შვილებთან ერთად დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.029) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.031.013.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N18-ში, პირველ სართულზე არსებული 18.13 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.12.08.031.013.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით,

პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მარინე მილაძეს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს) ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბმა „კოდორის“ კრების ოქმით დასტურდება, რომ მარინე მილაძე შვილებთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.031.013.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 2306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.149.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, მედია იაშაღაშვილმა განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებული 3000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N81.02.99.530) მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლობა.

აღნიშნული უძრავი ქონება ზედდება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ უძრავ ქონებასთან (საკადასტრო კოდი: N01.81.02.261.023 (წინა კოდი: N81.02.28.044)), რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 27 ნოემბრის N882015677391-03 გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად (საკადასტრო კოდი: N81.02.28.044) და შემდგომში გასხვისებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2015 წლის 09 დეკემბერს ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონზე (ლოტი N25)

ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ მითითებული უძრავი ქონება 2018 წელს გასხვისდა მესამე პირზე. საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, N81.02.99.530 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 0.30 ჰა (დაუზუსტებელი) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა მედია იაშაღაშვილს (პ/ნ 01015019083).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მედია იაშაღაშვილის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.02.28.044) რეგისტრაციასთან და აუქციონის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ვინაიდან, საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი: N81.02.99.530) საკადასტრო მონაცემები (მიწის ნაკვეთის საზღვრები, ადგილმდებარეობა), სახელმწიფო კოორდინატთა სისტემის მიხედვით, რეგისტრირებული არ იყო და შესაბამისად, ვერ ხდებოდა მისი იდენტიფიცირება, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის სხდომაზე საჯარო რეესტრის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის წარმომადგენელმა დაადასტურა მედია იაშაღაშვილის და გელა ზურებიანის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N81.02.28.044) ზედლების ფაქტი.

სააგენტომ მედია იაშაღაშვილის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მოქალაქეს შესთავაზა მის საკუთრებაში, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული 3000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 81.02.99.530) 2004 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დათმობის სანაცვლოდ, არსებითად მსგავსი ღირებულების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 2 306 კვ.მ. (ს/კ 01.81.01.149.015) მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაეცემა. ამასთან, მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრება შემდეგი: მედია იაშაღაშვილის (პ/ნ 01015019083) მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და მისი ორგანოების მიმართ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, ნებისმიერი სახის სამართლებრივ დავაზე ან/და პრეტენზიაზე უარის თქმა N81.02.99.530 საკადასტრო კოდით, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული 3000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 2004 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან მიმართებაში. ამასთან, მედია იაშაღაშვილს, საპრივატიზებო პირობად განესაზღვრება ვალდებულება მიმართოს საჯარო რეესტრს და მოითხოვოს მის საკუთრებაში დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული N81.02.99.530 საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილება და აღნიშნული მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობით - 996 კვ.მ-ით მის საკუთრებაში რეგისტრაცია.

მოქალაქე თანახმაა N01.81.01.149.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირობებით პრივატიზებაზე და აღნიშნული მიზნით საპრივატიზებო საფასურის 76 406 (სამოცდათექვსმეტი ათას ოთხას ექვსი) ლარის გადახდაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, იგი უარს აცხადებს N81.02.99.530 საკადასტრო კოდით, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული 3000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 2004 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (რომელიც თანხვედრაშია დღეის მდგომარეობით N01.81.02.261.023 (წინა კოდი: N81.02.28.044) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან) მიმართებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, ნებისმიერი სახის სამართლებრივ დავაზე ან/და პრეტენზიაზე და კისრულობს ვალდებულებას მიმართოს საჯარო რეესტრის მის საკუთრებაში დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებული N81.02.99.530 საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილებაზე და აღნიშნული მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობით - 996 კვ.მ-ით საკუთრებაში რეგისტრაციის მოთხოვნით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 2306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.01.149.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ მაყაშვილის ქუჩა N19ე-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.112.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ მაყაშვილის ქუჩა N19ე-ში, პირველ სართულზე არსებული 34.45 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.112.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე კობა ჩოგოვაძეს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ კობა ჩოგოვაძე ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან;

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ მაყაშვილის ქუჩა N19ე-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.112.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ,საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში, მეოთხე სართულზე არსებული 52.03 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015.01.514) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გიორგი ცხონდიას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ გიორგი ცხონდია მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან;

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015.01.514) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გია ყანჩელის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.010.018.02.651) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გია ყანჩელის ქუჩა N2ა-ში, პირველ სართულზე არსებული 43.11 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.01.010.018.02.651) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მერაბ აბშილავას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მერაბ აბშილავა 30 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გია ყანჩელის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.010.018.02.651) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.14.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში, შენობა N14-ში, პირველ სართულზე არსებული 30.41 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.14.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამარი არჩაიას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ თამარი არჩაია შვილთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2011 წლიდან;

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.14.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.81.21.106.003) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული N81.21.02.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის (დღეის მდგომარეობით: 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (მათ შორის: პირველ სართულზე - 325.70 კვ.მ, მეორე სართულზე - 345.54 კვ.მ)) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაეცემა. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შესაძლებლად მიიჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა. ამასთან, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიც, თანახმაა განხორციელდეს წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემა.

სააგენტოში წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული N81.21.02.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის (დღეის მდგომარეობით: 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (დღეის მდგომარეობით: 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (მათ შორის: პირველ სართულზე - 325.70 კვ.მ, მეორე სართულზე - 345.54 კვ.მ)) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა.

სააგენტოს მიმართვის შემდგომ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა N81.21.02.199 საკადასტრო ერთეულის ორ საკადასტრო ერთეულად დაყოფა (გამიჯვნა), ხოლო წარმოდგენილი პროექტით განიხილება გამიჯვნის შედეგად წარმოქმნილი, N01.81.21.106.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (მათ შორის: პირველ სართულზე - 325.70 კვ.მ, მეორე სართულზე - 345.54 კვ.მ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.81.21.106.003) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ: 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ „კავშირი-ასოციაცია აგორას“ (ს/კ: 202248175) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით, უსასყიდლოდ ჰქონდა გადაცემული ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 659 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (საკადასტრო კოდი: №01.14.06.003.015) და ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 1281 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.14.06.003.032), მეფუტკრეობის განვითარების მრავალფუნქციური რეგიონალური ცენტრის განთავსების მიზნით.

დღეის მდგომარეობით, №01.14.06.003.015 და №01.14.06.003.032 საკადასტრო კოდები გაერთიანდა და რეგისტრირებულია N01.14.06.003.037 საკადასტრო ერთეულად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „კავშირი-ასოციაცია აგორას“ მიერ შესრულებულია ვალდებულებები, კერძოდ აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულების გაფორმებიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გაცნობიდან) 2020 წლის 30 დეკემბრამდე მეფუტკრეობის განვითარების მრავალფუნქციური რეგიონული ცენტრის მშენებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება და აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, იმავე პუნქტში მითითებულ ვადაში არანაკლებ 400 000 (ოთხასი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით.

ამასთან, 2023 წელს, აღნიშნულ ორგანიზაციას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.14.06.007.095), გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორას“ აღმასრულებელმა დირექტორმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და ვინაიდან იწურებოდა სარგებლობის უფლების ვადა მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.007.095) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით განმეორებით გადაცემა, გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით 2 წლის ვადით.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ: 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით გადაცემის საკითხი.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ: 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ (ს/ნ: 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე. სერგო ბირკაძის მოხსენებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 11 ივლისის ბრძანების საფუძველზე აღნიშნულ ორგანიზაციას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს მომართა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბის“ აღმასრულებელმა დირექტორმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით განმეორებით 2 წლის ვადით გადაეცემა, ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბის“ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს“. სააგენტოს წარედგინა აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბი“ 2008 წელს, უმაღლესი რანგის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა მიერ დაფუძნდა, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე ოფიცერთა ინტელექტუალური რესურსის გამოყენებით, სამოქალაქო თავდაცვის, სამხედრო და ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის სფეროების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნით, ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბი“ ატარებს კვლევებს, ამზადებს საკანონმდებლო წინადადებებს, საქართველოს მასშტაბით სამართლებრივ და სოციალურ დახმარებას უწევს ვეტერანებსა და მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებს, ახორციელებს გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა სახელების უკვდავყოფისათვის შესაბამის ღონისძიებებს.

ასევე აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბი“, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად არის ა(ა)იპ-ის „ახალგაზრდობა და ვეტერანები ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებელი. კერძოდ, ორგანიზაცია, „საქართველოს გენერალთა კლუბის“ აქტიური მხარდაჭერით, უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა უსასყიდლოდ მომზადებას მათ მიერ თავდაცვის სფეროში მოხალისის სტატუსის მისაღებად. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში, ორგანიზაციამ გააფორმა მემორანდუმები სხვადასხვა საჯარო, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო (კოლეჯები, უნივერსიტეტები), სპორტულ ორგანიზაციებთან, რომლის შედეგადაც ამ ორგანიზაციებიდან მოზიდულ იქნა მოხალისეობის კანდიდატები. ორგანიზაციამ შესაბამისი სასწავლო კურსი გაატარა 1000-ზე მეტ დაინტერესებულ პირს (სტუდენტები, სპორტსმენები და სხვა). აღნიშნული ორგანიზაცია განთავსებულია ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემაზე.

მომხრე-7 წინააღმდეგი-საბა ბუაძე თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ (ს/ნ: 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის

წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციამ“ (ს/ნ: 412792214) 2025 წლის 28 ივნისს განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა 4 (ოთხი) წლის ვადით, საინვესტიციო ვალდებულების განხორციელების პირობებით. ასოციაცია მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის 4 წლის ვადით მოვლა-პატრონობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან, იკისრებს შემდეგ ვალდებულებებს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 9 (ცხრა) თვის ვადაში, N01.12.01.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე საფეხბურთო მოედნის საფარის მოწყობის, განათებისა და გარე შემოღობვის სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების და ახალი გასახედლებისა და სველი წერტილების მოწყობის მიზნით განახორციელებს არანაკლებ 419913,00 (ოთხას ცხრამეტი ათას ცხრაას ცამეტი) ლარის ინვესტიციას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლის ვადაში, N01.12.01.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო მოედნის და ტრიბუნების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის, არსებული გასახედლების და სველი წერტილების რეაბილიტაციის მიზნით განახორციელებს არანაკლებ 230000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან არაუგვიანეს 18 (თვრამეტი) თვეში საფეხბურთო მოედანზე ახალ 500 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნის განთავსების მიზნით განახორციელებს არანაკლებ 70000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციას.

ყოველთვიურად უსასყიდლოდ უზურუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ღონისძიებების ჩატარების ფარგლებში 30 საათამდე ხანგრძლივობით თავისუფალი დროის გამოყოფას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას 18 თვის ვადაში უზურუნველყოფს სხვადასხვა სამუშაოების წარმოებისთვის განახორციელოს ჯამურად, 719913,00 (შვიდას ცხრამეტი ათას ცხრაას ცამეტი) ლარის ინვესტიცია.

წარმოდგენილი პროექტით თანხმობა ეძლევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 412792214), პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) 4 (ოთხი) წლის ვადით გადაცემას, ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნითა და უსასყიდლო უზუფრუქტის შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან ჯამურად არანაკლებ 719913,00 ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქრაძეს (პ/ნ: 01011008339) (უფლებამონაცვლე: სს „მარიფ ულუსლარარასი ელითიმ ქურუმლარი“, ს/ნ: 8790664477) შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქრაძეს, რომლის (უფლებამონაცვლეა სს „მარიფ ულუსლარარასი ელითიმ ქურუმლარი, შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონის წესით, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ლისზე მდებარე 2917.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №72.16.21.793) შემდეგი სააუქციონო პირობით - „სკვერის მოწყობა“. ქონების მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს სს „მარიფ ულუსლარარასი ელითიმ ქურუმლარი (ს/ნ: 8790664477), შესაბამისად, მყიდველის მხარეს ხელშეკრულებაში დღეისათვის წარმოადგენს აღნიშნული კომპანია. ამასთან, სხვა მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შედეგად, დღეისათვის რეგისტრირებულია №72.16.21.934 საკადასტრო ერთეულის სახით.

მყიდველმა 2023 წლის 18 აგვისტოს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული შეზღუდვის („სკვერის მოწყობა“) გაუქმება და მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)-ით.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქონებაზე არსებული პირობის („სკვერის მოწყობა“) გაუქმება.

სააგენტომ წერილით მიმართა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და სთხოვა დასკვნის მომზადება, რომელიც ასახავდა №72.16.21.793 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე მიწის ნაკვეთზე სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) - ის გათვალისწინებითა და პირობის („სკვერის მოწყობა“) გარეშე დადგენილ ღირებულებას შორის სხვაობას, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით. პასუხად მათ ეცნობათ, რომ ბიუროსთვის უცნობი იყო მიმდებარე ტერიტორიაზე 2017 წლის მდგომარეობით (აუქციონის დროისთვის) ყიდვა-გაყიდვის შესახებ ინფორმაციები, შესაბამისად ვერ განხორციელდა №72.16.21.793 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დადგენა.

სააგენტოს წერილით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ეთხოვა დასკვნის მომზადება, რომელიც ასახავდა №72.16.21.793 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დღევანდელ საბაზრო ღირებულებას: სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) - ის გათვალისწინებითა და პირობის - „სკვერის მოწყობა“ - გარეშე; სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - ის გათვალისწინებითა და პირობით „სკვერის მოწყობა“. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 11 ივლისის №004505125 დასკვნის მიხედვით: ქ. თბილისში, ლისში მდებარე, №72.16.21.793 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2917 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2025 წლის 11 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 2 774 067 ლარს (დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტების მიერ მიწის ნაკვეთი შეფასდა სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გათვალისწინებით და პირობის - „სკვერის მოწყობა“ - გარეშე).

ქ. თბილისში, ლისში მდებარე, №72.16.21.793 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2917 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2025 წლის 11 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 793 424 ლარს (დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტების მიერ მიწის ნაკვეთი შეფასდა სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გათვალისწინებით და პირობით - „სკვერის მოწყობა“).

ამდენად, წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქონების ამჟამინდელ და მყიდველის მიერ მოთხოვნილ მდგომარეობებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 1 980 643 (ერთი მილიონ ცხრაას ოთხმოცი ათას ექვსას ორმოცდასამი) ლარს.

მყიდველმა განაცხადა თანხმობა ქონებაზე პირობის („სკვერის მოწყობა“) გაუქმებისა და არსებული ფუნქციური ზონის სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)-ით ცვლილების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 11 ივლისის №004505125 დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილია თანხმობისათვის საკრებულოს პროექტი, პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებით განკარგულ ქონებაზე ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „სკვერის მოწყობა“ - გაუქმება, იმ პირობით, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონის სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)-ით ცვლილებისა და სააგენტოსა და მყიდველს შორის შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მყიდველი სრულად

გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 11 ივლისის №004505125 დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას - 1 980 643 (ერთი მილიონ ცხრაას ოთხმოცი ათას ექვსას ორმოცდასამი) ლარს.

მომხრე-7 წინააღმდეგი-0 თავი შეიკავა-0

გადაწყდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნაზი ზაქრაძეს (პ/ნ: 01011008339) (უფლებამონაცვლე: სს „მარიფ ულუსლარასი ედითიმ ქურუმლარი“, ს/ნ: 8790664477) შორის 2017 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-372-22-21460 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე**



ლევან არველაძე